

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის რევაზ კვერენჩილაძის**მოსახლეობასთან შეხვედრის და 2018 წლის ანგარიშის****წარდგენის ოქმი.**

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 07.06.2019 წელი 18:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრი რევაზ კვერენჩილაძე, ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის თანაშემწეები შორენა გურგენიძე და ზურაბ თავართქილაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

ანგარიშის წარდგენამდე საკრებულოს წევრი რევაზ კვერენჩილაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ გამონახეს დრო მასთან შესახვედრად. ამის შემდეგ, მან აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი - საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება.

საკრებულოს წევრმა რევაზ კვერენჩილაძემ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად წარმოადგინა 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 20 ნოემბრამდე მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს პარტიული სიით გახდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ახორციელებდა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში, ასევე არის ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 17, კომისიის 3 და ფრაქციის 7 სხდომაში. როგორც საკრებულოს წევრი აქტიურად მონაწილეობდა საკრებულოს მიერ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების მიღება-დამტკიცებაში. გამოყო რამდენიმე მნიშვნელოვან აქტი. საანგარიშო პერიოდში განხილული და დამტკიცებული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამები, მისი გაცემისა და მიღების წესი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებები და მისი დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, მოწონებული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი პროექტები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი საჯარო შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტები და ა.შ.

სხდომებზე მის მიერ დაყენებული იქნა პრობლემური საკითხები, ესენია: მაწანწალა ძაღლების საკითხი, ასევე პრობლემურია ქალაქში არსებული საპირფარეშოს თემა და იქ მაცხოვრებელი შვიდი ოჯახის საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობა, რომელიც არის მთლიანად შესაცვლელი. ეს პრობლემა დღესაც მოუგვარებელია. საკრებულოს სხდომაზე გააჟღერა ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულის მაცხოვრებლების მოთხოვნა მერის წარმომადგენელისათვის ერთი თანაშემწის დამატების შესახებ.

როგორც საკრებულოს წევრს, შეხვედრები ქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან). მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურულ საკითხებს. სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება მოხდა მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების ფარგლებში.

საკრებულოს წევრმა რევაზ კვერენჩილაძემ ჩოჩხათის მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

როგორც შეხვედრაზე გამოიკვეთა, მიუხედავად აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებებისა, იგი კვლავ რჩება ადგილობრივი მოსახლეობის საერთო პრობლემად. მათი თქმით, გასულ წელს ჩატარებული შეწამვლითი სამუშაოების შედეგად, აზიური ფაროსანას რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია, მაგრამ თერმული ნისლით შეწამვლის შედეგად მოსახლეობას მიაღდა სერიოზული ზიანი. კერძოდ, გაახმო მცენარეები, დააზიანა და გაანადგურა ბაღ-ბოსტანი, გარკვეულ წილად დაიღუპა ფუტკარი. ყოველივე აქედან გამომდინარე, ადგილობრივი მაცხოვრებლები წინააღმდეგები არიან, რომ სოფელში მოხდეს თერმული ნისლით დამუშავება. შესაბამისად, მათი მოთხოვნაა, რომ ჩატარდეს წერტილოვანი შეწამვლა, ხოლო საყანე ფართობებში აღნიშნული ღონისძიება განხორციელდეს ტრაქტორის საშუალებით.

საკრებულოს წევრის, რევაზ კვერენჩილაძის განცხადებით, მოსახლეობასთან ერთად აქტიურად განიხილავდა აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს და როგორც აღნიშნა, შეწამვლითი სამუშაოები 2018 წელს ოთხ ეტაპად ჩატარდა. ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე განთავსებულია 130 ერთეული ე.წ. „მოიზიდე და მოკალი“, რასაც მნიშვნელოვანი შედეგი აქვს. საკრებულოს წევრის თქმით, თუკი სოფლის

მოსახლეობის უმრავლესობა მოითხოვს მოხდეს წერტილოვანი შეწამვლა, ამ შემთხვევაში, სრულიად იქნება გათვალისწინებული მათი აზრი და სწორედ ასეთი სახით მოხდება შეწამვლითი სამუშაოების ჩატარება. რაც შეეხება საყანე ფართობების შესაწამლი ნივთიერებით დამუშავებას, ამ მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო ტრაქტორები და მათი სამუშაოებით მოხდება აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება.

მოქალაქე მარგო გუჯაბიძემ უმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ სასმელი წყლის ავზს ქონდა შესასვლელი კარები და ხდებოდა მისი გასუფთავება, მაგრამ იგი მოხსნეს და გაუკეთეს სახურავი, რის გამოც მისი ამოწმენდა ვეღარ ხერხდება, შესაბამისად, წყალი სასმელად უვარგისი გახდა.

მოქალაქე კობა გოგუაძემ აღნიშნა, რომ სოფლის სტადიონის ადგილზე აშენდა ეკლესია. იყო დაპირება, რომ სტადიონი გაკეთდებოდა სხვა ადგილას, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. მან ასევე ყურადღება გაამახვილა იმასთან დაკავშირებით, რომ სოფლის ცენტრში შინმოუსვლელთა სკვერი გაჩანაგებული და განადგურებულია. გარდა ამისა, სკვერიდან იპარავენ თუჯის კონსტრუქციებს.

ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ხორეთის მოსახლეობის მიერ დაისვა შემდეგი სახის პრობლემები:

- ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის თხოვნით, სოფლის პროგრამის ფარგლებში გარე განათებისთვის გათვალისწინებული თანხის ნაწილი მოხმარდა ეკლესიის მიმდებარედ სანიაღვრე არხების რეაბილიტაციას, რის შედეგად სოფლის უმეტესი ნაწილი დარჩა გარე განათების გარეშე. მოსახლეობის მოთხოვნაა, სოფელში სრულად მოხდეს გარე განათების გაკეთება.
- საფეხმავლო ხიდზე ჩანგრეულია მოაჯირები და საშიშია გადაადგილება. მოსახლეობის თხოვნაა, თუ შესაძლებელია, სუფსის რკინიგზის სადგურთან ხიდის დემონტაჟის შედეგად დარჩენილი მიწები გამოყენებული იქნას აღნიშნული ხიდის სარეაბილიტაციოდ.
- სოფლის სასაფლაოსთან წყალმა ჩამოშალა მიწა, რის შედეგად მისასვლელი გზა ჩახერგილია. არ არის გამორიცხული, რომ საფლაოებიც ჩამოინგრეს.
- უდაბნოს დასახლებაში არის ცხაური, რომელიც ფაქტიურად უფუნქციოა. მოსახლეობის თხოვნაა, მოხდეს მისი გადმოტანა სოფელ მოედნის გადმოსახვევთან.
- სოფელში განსახორციელებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებში დასაქმდეს ადგილობრივი მოსახლეობა.
- სოფლის შემოსასვლელში, სანიაღვრე არხზე აღებულია რკინის ცხაური, რაც წარმოადგენს საშიშროებას.

საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ სოფელში გაკეთდება 500 მეტრი სიგრძის ბეტონის გზა.

მოსახლეობის აზრით, რომელსაც თავის მხრივ საკრებულოს წევრიც ეთანხმება, მუნიციპალიტეტის ტურისტული კუთხით განვითარებისთვის, ძალიან კარგი იქნება, თუ

ყურადღება მიექცევა ორკარის კანიონს და უდაბნოს გამოქვაბულებს, საიდანაც ისტორიულ წყაროებზე და ადგილობრივების გადმოცემებზე დაყრდნობით 1872 წლამდე მოღვაწეობდნენ ბერები.

სოფელ ხორეთის მაცხოვრებლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა მუნიციპალიტეტის მხრიდან სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობის მეტი ინფორმირება, ინფრასტრუქტურული კუთხით იქნება ეს თუ სხვა. ასევე, მათი აზრით, რაც გაკეთდება, უნდა იყოს ხარისხიანად გაკეთებული შესაბამისი ცოდნისა და კომპეტენციის მქონე სპეციალისტების მიერ. ამის შემდეგ, ადგილობრივმა მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრს რევაზ კვერენჩილაძეს, რათა ის ყოველთვის იზიარებს მათ გულისტკივილს და პრობლემებს. ასევე, ყოველთვის ცდილობს შესაძლებლობიდან გამომდინარე გვერდით დაუდგეს ადგილობრივ მოსახლეობას.

საკრებულოს წევრმა რევაზ კვერენჩილაძემ მოუწოდა სოფლის მოსახლეობას, რომ დროულად მიაწოდონ ამა თუ იმ საჭირობოროტო საკითხის შესახებ ინფორმაცია, რათა ერთობლივად და ასევე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით შესაძლებლობიდან გამომდინარე დროულად გადაიჭრას პრობლემა. მისი თქმით, ასევე, ძალიან კარგი იქნება, თუკი მოსახლეობა გამოიჩენს მეტ ჩართულობას. ასევე თავის მხრივ სოფლის მოსახლეობას დაპირდა, რომ ის, როგორც საკრებულოს წევრი, ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა მისი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში გადაწყდეს ყველა ის პრობლემა, რომელიც აწუხებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, აქტიურ მუშაობას გაარძელებს, რათა 2019 წელი უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

რევაზ კვერენჩილაძე



საკრებულოს წევრი
საკრებულოს წევრები